აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 25

05 ნოემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, თამაზ შარმანაშვილი, თამარ ხოზრევანიძე, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, თენგიზ ცინცქილაძე, ლევან გაბრიჩიძე, ირაკლი გვარამია, მამუკა ჯაში, დავით რობაქიძე, ავთანდილ ჩახვაძე და ანზორ ბაღათურია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: უმაღლეს საარჩევნო კომისიის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებში რეგისტრირებული დამკვირვებელი ორგანიზაციების: „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“, და „ახალი თაობა – ახალი ინიციატივის“, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა, უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების „ქართული დასი-“ს და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები. უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის იურიდიული სამსახურის უფროსი ფრიდონ ბათნიძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. საჩივრების განხილვის შესახებ.

(მომხ: ა. მიქელაძე)

1. საჩივრების განხილვის შესახებ;

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა კომისიის წევრების დავით რობაქიძისა და ლევან გაბრიჩიძის №82 შუახევისა და №83 ხელვაჩაურის საარჩევნო უბნებში საარჩევნო პროცედურის დარღვევებით ჩატარებისა და არჩევნების შედეგების გაუქმების შესახებ განცხადება და ,,სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" წარმომადგენლების საჩივარი ხელვაჩაურის №83 საოლქო საარჩევნო კომისიის 2008 წლის 4 ნოემბრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების (პროპორციული და მაჟორიტარული) ბათილად ცნობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ (05.11.08 წ. 18:00 სთ.) უმაღლეს საარჩევნო კომისიაში არ იყო შემოსული შემაჯამებელი ოქმი (პროპორციული და მაჟორიტარული) №82 შუახევის საარჩვენო ოლქიდან, სადაც ოლქი მისი (სხდომის თავმჯდომარე) ინფორმაციით ჯერ კიდევ იხილავდა საჩივრებს. მან აღნიშნა, რომ აღნიშნულიდან გამომდინარე უსკო-ს არ აქვს ინფორმაცია რომელ უბნების საჩივრები იქნა დაკმაყოფილებული ან უარი ნათქვამი, ამიტომაც კომისიის წინაშე დასვა საკითხი განეხილათ მხოლოდ №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის შედეგების (მაჟორიტარული და პროპორციული ოქმები) გაუქმების საკითხი და კომისიის წევრების დავით რობაქიძის და ლევან გაბრიჩიძის საჩივარი №83 ხელვაჩაურის ოლქის შედეგების გაუქმების ნაწილში. რაც შეეხება №82 შუახევის ოლქის არჩევნების შედეგების გაუქმებას მან აღნიშნა, რომ საჩივარი ამ ნაწილში განუხილველი უნდა დარჩენილიყო ვინაიდან ამ დროისთვის (2008 წლის 05 ნოემბერი) №82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არ იყო 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების შედეგების არ იყო შეჯამებული (პროპორციული და მაჟორიტარული ოქმები). ასევე აღნიშნა, რომ დავით რობაქიძისა და ლევან გაბრიჩიძის განცხადების თანახმად №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში რამოდენიმე უბანი განთავსებული იყო პოლიციისა და პროკურატურის შენობებში, რაც აკრძალულია საქართველოს ორგანული კანონის საარჩევნო კოდექსის თანახმად. მან აღნიშნა, რომ ,,სამართლიანი

არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ წარმომადგენლების საჩივარში აღნიშნულია, მათ მიერ დაფიქსირებული დარღვევები სხვადასხვა უბნებზე, გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემის გაყალბების ფაქტებზე, კერძოდ: (ამომრჩეველთა ძირითად სიაში არ იყო შესაბამისი აღნიშნვა გაკეთებული გადასატანი ყუთით ამომრჩეველთა ხმის მიცემის შესახებ, რაც იძლეოდა ხელმეორედ ხმის მიცემის საშუალებას. გარდა ამისა, ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიამ შედეგების შემაჯამებელი მაჟორიტარული და პროპორციული ოქმი შეადგინა 2008 წლის 4 ნომემბერს 23 საათსა და 55 წუთზე, რითაც დაირღვა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მოთხოვნები. გარდა ამისა, კომისიის წევრებმა ლევან ლორთქიფანიძემ და სერგო დუმბაძემ შემაჯამებელი ოქმების განსხვავებული აზრის გრაფაში მიუთითეს, რომ არჩევნებში მონაწილეთა რიცხვი ხელოვნურად იყო გაზრდილი და არ ეთანხმებოდნენ ოქმების მე-2 გრაფას). სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ,,სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ წარმომადგენლები საჩივრით მოითხოვენ 2008 წლის 4 ნოემბრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების (მაჟორიტარული და პროპორციული სისტემით) გაუქმებას, მაგრამ შემაჯამებელი ოქმების გაუქმება არ გულისხმობს მთლიანად შედეგების გაუქმებას, რაზეც მიმართა ,,სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ წარმომადგენელს დაეკონკრეტებინა თუ რას ითხოვდა საჩივარით.

,,სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი მოთხოვნაა არა მხოლოდ შემაჯამებელი ოქმების გაუქმება, არამედ მთლიანად №83 ხელვაჩაურის ოლქის არჩევნების შედეგების გაუქმება, რადგანაც არჩევნების პროცედურა მიმდონარეობდა კანონმდებლობის სრული დარღვევით აღნიშნულ ოლქში და ეს არ არის პირველი ფაქტი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის იურიდიული სამსახურის უფროსს ფრიდონ ბათნიძეს განემარტა კომისიისათვის საქმის არსის შესახებ.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის იურიდიული სამსახურის უფროსმა ფრიდონ ბათნიძემ კომისიას წარუდგინა იურიდილი სამსახურის დასკვნა. მან აღნიშნა, რომ იურიდიულმა სამსახურმა განიხილა კომისიის წევრების ლევან გაბრიჩიძისა და დავით რობაქიძის, ასევე ,,სამართლიანი

არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ საჩივრები და იურიდიული სამსახურის მიერ გამოთხოვილი №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქიდან სხვადასხვა უბნებში შესული საჩივრები და აღნიშნა, რომ მათი ანალიზის საფუძველზე საარჩევნო პროცესი ხელვაჩაურის ოლქში მიმდინარეობდა კანონმდებლობის დარღვევით, რაც იწვევს არჩევნების შედეგების ბათილობას. მან აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი დარღვევები იყო რამოდენიმე უბანზე. კერძოდ: №35 ჭარნალის საარჩენო უბანში დაფიქსირდა სხვის მაგივრად ხმის მიცემის ფაქტი, არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს 18 წელს მიუღწეველმა პირებმა, №13 საარჩევნო უბანში ერთიდაიგივე პირებმა რამდენჯერმე მიიღეს მონაწილეობა კენჭისყრაში, №64 ჭარნალის საარჩევნო უბანში ბიულეტენში არ იყო დასმული შტამპი „არჩევნებიდან მოხსნილია“, №11 საარჩევნო უბანში გადასატანი საარჩევნო ყუთით კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღეს იმაზე მეტმა ამომრჩეველმა, ვიდრე სიის დანართში იყო შეყვანილი, №1 საარჩევნო უბანში გადასატან საარჩევნო ყუთიდან ერთად უბანში დაბრუნდა ერთით მეტი საარჩევნო ბიულეტენი, ვიდრე გადასატანი საარჩევნო ყუთის მხლებლებს გადაეცათ, №59 საარჩევნო უბანში ერთი ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ყუთში მოთავსებული იქნა იმაზე მეტი ბიულეტენი, ვიდრე კანონითაა გათვალისწინებული, №9 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა სხვის მაგივრად ხმის მიცემის ფაქტი, №38 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა სხვის მაგივრად ხმის მიცემისა და ვადაგასული დოკუმენტით ხმის მიცემის ფაქტები. მსგავსი დარღვევები დაფიქსირდა თითქმის ყველა საარჩევნო უბანზე. თითქმის ყველა უბანზე სიის დანართში შეყვანილ ამომრჩევლებს მიეცათ საშუალება ხმა მიეცათ განმეორებით, რადგანაც ერთიან სიაში არ იყო მითითება, რომ ამომრჩეველი გადაყვანილი იყო სიის დანართში, აგრეთვე სიის დანართში შეყვანილი იყო ის ამომრჩევლები, რომლებიც არ იყვნენ რეგისტრირებულნი ამომრჩეველთა ერთიან სიაში. აღნიშნულის გარდა, როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი დამკვირვებლების მიერ დაფიქსირდა საარჩევნო ყუთებში ზედმეტი ბიულეტენის მოთავსების ფაქტები, არაერთი ფაქტი დაფიქსირდა ამომრჩევლის მიერ რამდენჯერმე ხმის მიცემისა, აგრეთვე სხვის მაგივრად ხმის მიცემისა და პირადობის მოწმობის გარეშე ხმის მიცემის ფაქტები, რამდენიმე საარჩევნო უბანი განლაგებული იყო პოლიციის შენობაში და აღნიშნა, რომ მითითებული გარემოებები იძლევა საფუძველს იმისა რომ, №83 საარჩევნო ოლქში ჩატარებული პროპორციული და მაჟორიტარული არჩევნების შედეგები გამოცხადდეს (არ ჩატარებულად) ბათილად.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებმა თამაზ შარმანაშვილმა, გია გარსევანიშვილმა, დავით რობაქიძემ, ლევან გაბრიჩიძემ, ავთანდილ ჩახვაძემ, ასლან ჩავლეიშვილმა. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა“ და „ახალი თაობა – ახალი ინიციატივას“ წარმომადგენლებმა.

„ახალი თაობა – ახალი ინიციატივას წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პირადად ესწრებოდა ხელვაჩაურის ოლქის სხდომას, სადაც შემოტანილი იქნა ცხრა საჩივარი და ყველა მათგანი დაკმაყოფილებული იქნა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ, ამიტომაც არავითარი საფუძველი არ არსებობს მთლიანდ ოლქში არჩევნების შედეგების გაუქმებისა, რადგანაც ის უბნები, სადაც იქნა დაფიქსირებული სერიოზული დარღვევები, უკვე გაუქმებულია.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ სხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციების მსგავსად მათ არ ჰყავდათ წარმომადგენელი ყველა უბანზე, მაგრამ იქ სადაც ჰყავდათ თავიანთი დამკვირვებლები რამოდენიმე უბანზე დაფიქსირებული იქნა დარღვევები, კერძოდ: სხვის მაგივრად ხმის მიცემის რამდენიმე ფაქტი, საარჩევნო უბნების უმრავლეს ნაწილში ამომრჩეველთა რაოდენობა მეტი იყო, ვიდრე ბიულეტენი.

კომისიის წევრმა ლევან გაბრიჩიძემ აღნიშნა, რომ დარღვევები დაფიქსირებული იქნა არა მარტო №83 ხელვაჩაურის ოლქში შემავალ უბნებზე, არამედ სხვა ოლქებში შემავალ უბნებზეც, რის გამოც იგი თვლის, რომ მთლიანად აჭარის ტერიტორიაზე შემავალ ყველა საარჩევნო ოლქის შედეგები უნდა გამოცხადდეს ბათილად. ასევე აღნიშნა, რომ იგი არ მიიღებს მონაწილეობას №83 ხელვაჩაურის ოლქის შედეგების გაუქმების შესახებ კენჭისყრაში მონაწილეობას, ვინაიდან იგი თვლის რომ შედეგები ბათილად უნდა გამოცხადდეს მთლიანად აჭარაში და არა მარტო №83 ხელვაჩაურის ოლქში.

კომისიის წევრმა დავით რობაქიძემ აღნიშნა, რომ ყველა პარტიის კომისიის წევრი მოსყიდული იყო, რათა მათ თვალი დაეხუჭათ არსებულ დარღვევებზე. ასევე აღნიშნა, რომ №83 ხელვაჩაურის ოლქში არჩევნების შედეგების გაუქმება პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, რომელიც არ შეესაბამება სინამდვილეს. თითქოსდა არჩევნები მხოლოდ დარღვევებით ჩატარდა №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში. ასევე აღნიშნა, რომ №83 ხელვაჩაურის ოლქში არჩევნების დარღვევებით ჩატარების ტენდენცია დიდი ხნის განმავლობაში

მიმდინარეობს და საბოლოოდ უნდა დაისაჯონ როგორც ოლქის თავმჯდომარე, ასევე უბნის თავმჯდომარეები, პირველ რიგში მათ უნდა აეკრძალოთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. რაც შეეხება კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებას, მან აღნიშნა, რომ არ ღებულობს კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგანაც არჩევნების პროცესი ყველა საარჩევნო ოლქში მიმდინარეობდა კანონდარღვევით და უნდა გაუქმდეს მთლიანად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არჩევნების შედეგები.

კომისიის წევრმა გია გარსევანიშვილმა აღნიშნა, რომ არსებობს იურიდიული საფუძველი ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგების გაუქმებისა, რადგანაც თვითონ აკვირდებოდა არჩევნების პროცესს №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში, იმყოფებოდა რამოდენიმე უბანზე და მიუხედავად მის მიერ უბნის წევრებისათვის მიცემული არაერთი შენიშნვისა, მათ მიერ არ იქნა გათვალისწინებული მისი შენიშვნა ამა თუ იმ სახის დარღვევის შესახებ. ასევე აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით გადასატანი ყუთით ხმა მისცა დაახლოებით 3000 - 3500 ამომრჩეველმა, ხოლო ამომრჩეველთა ძირითად სიაში ამის შესახებ მითითებული არ იყო და ამ ამომრჩევლების მიერ შესაძლოა ორჯერ იქნა ხმის მიცემა, რაც საკმარისი საფუძველია არჩევნების შედეგების გაუქმებისა.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სხდომაზე სხვა მოსაზრება აღნიშნულ საკითხზე არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის მაჟორიტარული და პროპორცილი არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 10;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის 10 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 63-ე მუხლის მე-11, მე-13, მე-15 პუნქტებისა და 64-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისა და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. ბათილად იქნეს ცნობილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის პროპორციული და მაჟორიტარული არჩევნების შედეგები №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში.

2. ბათილად იქნას ცნობილი №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის პროპორციული და მაჟორიტარული კენჭისყრის/არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სხდომაზე სხვა საკითხი არ განხილულა.

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია